მეშვიდე საერთაშორისო სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო
კონფერენცია-კონკურსი
22-24 აპრილი 2016 თბილისი, საქართველო

კონფერენცია-კონკურსის მუშაობის მექანიზმი:

კონფერენცია-კონკურსის ჟიური შედგება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორებისაგან და მოწვეული უცხოელი მუსიკოლოგებისაგან.

მონაწილეები ჟიურის მიერ ფასდებიან მათი გამოსვლისთანავე. თითოეული წევრი აფასებს დამოუკიდებლად, ათბალიანი სისტემით. ჟიურის წევრს არ აქვს უფლება შეაფასოს მისივე ხელმძღვანელობით შესრულებული მოხსენება

შეფასების კრიტერიუმები

- აქტუალობა
- კვლევის რაკურსის სიახლე
- პრეზენტაბელურობა
- დაცვა

გამარჯვებულები: ჟიური ავლენს ბაკალავრის, მაგისტრანტის და დოქტორანტის საუკეთესო მოხსენებებს.

კონფერენცია-კონკურსის მისიიდან გამომდინარე, გაიცემა პრიზები შემდეგ ნომინაციებშიც*:

- საუკეთესო დისკუსია
- საუკეთესო პრეზენტაცია

***ეს ნომინაციები გათვალისწინებულია მხოლოდ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის**

მონაწილეობის პირობები და მოთხოვნები:

მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტებს (მუსიკისმცოდნეობის და საშემსრულებლო ფაკულტეტები).

თემატიკა:
მუსიკის ისტორიის, მუსიკის თეორიის, საეკლესიო მუსიკის, ეთნომუსიკოლოგიის, შემსრულებლობის თეორიის საკითხები, მუსიკის ესთეტიკის და ფილოსოფიის საკითხები, სამუსიკისმცოდნეო-მეთოდოლოგიური საკითხები.

- მონაწილეები (როგორც კონკურსანტები, ისე კონკურსგარეშეები) შეირჩევიან მათ მიერ გამოგზავნილი თეზისების საფუძველზე;
- მოხსენების თეზისები შესრულებული უნდა იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას (ფურცლის ფორმატი - A4, შრიფტი Times New Roman, შრიფტის ზომა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; მინდორი ყველა მხრიდან - 2 სმ);
- მოხსენება არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს (ფურცლის ფორმატი - A4, შრიფტის ზომა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; მინდორი ყველა მხრიდან - 2 სმ);
- მოხსენების რეგლამენტი - 10 წუთი, დისკუსიის რეგლამენტი - 10 წუთი.

სამუშაო ენები:
ქართული, ინგლისური, რუსული.

ვადები:
- რეგისტრაციის დრო - 2015 წლის 30 ნოემბერი
- რეგისტრაცია ხდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: geomusicology@gmail.com.
- რეგისტრაციის შემდეგ, 5 დღის განმავლობაში მონაწილეობის მსურველი ელ.ფოსტის მეშვეობით მიიღებს შესავსები განაცხადის ფორმას.
- შევსებული განაცხადის ფორმის და თეზისების გამოგზავნა უნდა მოხდეს რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 დღისა.
- მოხსენებების სრული ელექტრონული ვერსიის გამოგზავნა ხდება არაუგვიანეს 2016 წლის 1 მარტისა.
- სარეგისტრაციო შესატანი, კონსერვატორიის სტუდენტების გარდა, შეადგენს 30 ლარს.

პუბლიკაცია: ჟიურის მიერ შერჩეული მოხსენებები გამოქვეყნდება თბილისის კონსერვატორიის გამომცემლობის მიერ

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

კონტაქტი:
ელ. ფოსტა: geomusicology@gmail.com
ტელეფონები:
+995 598 272048 – მაია სიგუა
+995 593 985699 – ქეთევან ჭიტაძე
+995 593 140311 - ლიკა ხორბალაძე

კონფერენცია-კონკურსი მოიცავს ასევე კონცერტს და კულტურულ პროგრამას